საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 107-ე მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 14 წევრის (სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი) მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების (№09-01-08/79, 09.09.2019) ინიცირებიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

09-01-08/71
12.09.2019
5 ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტები (№09-01-08/56, 08.01.2018).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 109-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 11 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით გაბაიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მერაბ კარანაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ნინო ჩხეტია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) ილია ვერძაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარების“ თავმჯდომარე;

ე) ნუგზარ სურმანიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ვ) დავით ბაციკაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარას“ თავმჯდომარე;

ზ) პეტრე ზამბახიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

თ) გიორგი ცინცქილაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ი) მერაბ ბლადაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

კ) გია აბულაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ლ) გიორგი ბერიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი).

3. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის სხდომებზე დასასწრებად მოიწვიოს სხვა პირები.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2019 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო- სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ“

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ ინიცირებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტები (№09-01-08/79, 09.09.2019), რომლებიც ითვალისწინებენ უმაღლესი საბჭოს არჩევნების პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებას, 5 პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გაუქმებას და მომდევნო არჩევნებისათვის ერთჯერადად დაშვებული საარჩევნო ბლოკების შექმნის რეგულაციის გაუქმებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესმა საბჭომ კონსტიტუციური კანონის პროექტი უნდა გამოაქვეყნოს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. სწორედ აღნიშნული მიზნის გადაწყვეტას და კონსტიტუციური დანაწესის შესრულებას ისახავს მიზნად მოცემული დადგენილების პროექტი.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

დადგენილების პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ ინიცირებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების (№09-01-08/79, 09.09.2019) გამოქვეყნებას საყოველთაო- სახალხო განხილვისათვის.

ამასთანავე, განისაზღვრება საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრთა რაოდენობა. კერძოდ, კომისია იქმნება 11 წევრისგან, შემდეგი შემადგენლობით: დავით გაბაიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე); მერაბ კარანაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); ნინო ჩხეტია - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; ილია ვერძაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარების“ თავმჯდომარე; ნუგზარ სურმანიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; დავით ბაციკაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარას“ თავმჯდომარე; პეტრე ზამბახიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი; გიორგი

ცინცქილაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი; მერაბ ბლადაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი; გია აბულაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი; გიორგი ბერიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი).

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი - დავით გაბაიძე.